ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N08

2023 წლის 25 იანვარი
ქ. ამბროლაური

ა(ა)იპ „ამბროლაურის დავით თორაძის სახელობის სამუსიკო სკოლის“ დირექტორის 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის N01 დადგენილებით დამტკიცებული „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 143-ე მუხლის შესაბამისად ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ამბროლაურის დავით თორაძის სახელობის სამუსიკო სკოლის“ დირექტორის ანგარიში 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ შეფასდეს დამაკმაყოფილებლად (ანგარიში თან ერთვის).
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქუჩა N13).
3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ასლან საგანელიძე

2022 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

ხელოვნების სკოლაში საახალწლო არდადეგების შემდეგ სწავლა განახლდა 24 იანვრიდან, სამწუხაროდ 3 თებერვალს სკოლაში პანდემიის დაფიქსირებასთან დაკავსირებით 14 თებერვლამე მოგვიხდა სასწავლო პროცესის შეჩერება. ყველა განყოფილების პედაგოგის ძალისხმევით მოხდა მოსწავლეთა მობილიზება და საგაკვეთილო ცხრილების შემუშავება. გაიზარდა სტანდარტული გაკვეთილების ხანგრძლივობა, რათა მომხდარიყო კოვიდ პანდემიის გამო გაცდენილი საათების ანაზღაურება. (45 წუთიანი გაკვეთილები 60 წუთით განისაზღვრა.)

7 მარტიდან 15 მარტის ჩათვლით, საჯარო სკოლის არდადეგების შესაბამისად, გვიწევდა შესვენება, მაგრამ სკოლის ადმინისტრაციამ პედაგოგებთან შეთანხმებით სწავლა განაგრძო. საგაზაფხულო არდადეგები გამოყენებული იქნა ანაზღაურებადი გაკვეთილების ჩასატარებლად, რაც ნაყოფიერად აისახა სწავლის ხარისხზე.

22 მარტს რაიონის ხელმძღვანელობის მიერ დაგეგმილ საყოველთაო შაბათობაში აქტიურად ჩაერთო ხელოვნების სკოლის თანამშრომლები. ხოლო 2 მაისს დასუფთავდა სკოლის შიდა სივრცე, საკლასო ოთახები და სააქტო დარბაზი.

სკოლის დირექტორის ინიციატივით ყველა განყოფილებაზე დაიგეგმა მონიტორინგი. შემოწმებული იქნა საგაკვეთილო პროცესებში მოსწავლეთა ჩართულობის ინტენსიობა და მოხდა პრიორიტეტული სასწავლო პროგრამების დაგეგმარება.

27 აპრილს დაიწყო საფორტეპიანო განყოფილების მოსწავლეთა მოსმენა, ასევე სოლო შემსრულებლების შემოწმება გიტარისა და ფორტეპიანოს თანხლებით.

28 აპრილიდან მუშაობა დაიწყო საგუნდო კლასის, ბიჭუნათა ანსამბლ „მრავალძალის“, ხალხურ საკრავთა ორკესტრის „საპოვნელა“, ფორტეპიანოებისა და გიტარის ჯგუფის ერთობლივი ნომრისათვის მზადება.

ქორეოგრაფიულ განყოფილებაზე მიმდინარეობს ინტენსიური რეპეტიციები. ანსამბლები „თი-ემ-სი’ და „რაშოვდა“ ამზადებენ ახალ საკონცერტო რეპერტუარს. ჩატარდა მშობელთა კრება, სადაც ქორეოგრაფმა ს. ბოჭორიშვილმა მშობლებს მობილიზებისა და მხარში დგომისაკენ მოუწოდა.

26 მაისს ხელოვნების სკოლის ჯგუფებმა: „თი-ემ-სი“, რაშოვდა, საგუნდო, საესრტადო და ხალხურ საკრავთა ორკესტრმა „საპოვნელა“, მონაწილეობა მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნის საზეიმო ღონისძიებაში.

31 მაისს ამბროლაურის კულტურის ცენტრში ჩატარდა ფოლკლორული ანსამბლის „იავნანა“ ვარსკვლავის გახსნა, სადაც მონაწილეობა მიიღო ქორეოგრაფმა სოფიო ბოჭორიშვილმა მოსწავლეებთან ერთად.

1 ივნისს ბავშთა დაცვის საერთაშორისო დრესთან დაკავშირებით ხელოვნების სკოლის შენობის წინ საზეიმოდ მოეწყო ღია სივრცე და გაიმართა მოსწავლეთათვის ფლეშ-მობი. სკოლის მონაწილეებს ტკბილეული და გასართობი სტიკერებით გაუმასპინძლდა.

ძალზედ შრომატევადი და შემოქმედებითად დატვირთული აღმოჩნდა სასწავლო წლის დასასრული ივნისის თვეში.

10 ივნისს გაიმართა ფორტეპიანოს განყოფილების მოსწავლეთა მოსმენა(პედ.მანანა სალუქვაძე ჭრებალოს ჯგუფი)

13 ივნისს ხელოვნების სკოლის დარბაზში ჩატარდა ფორტეპიანოს მოსწავლეთა მოსმენა-გამოცდა(პედ:ს.სარდანაშვილი, მ.ღოღელიანი). დამსწრე პედაგოგების მიერ მოხდა რეპერტუარის გადახარისხება შემაჯამებელი კონცერტისათვის.

27 ივნის სკოლის სააქტო დარბაზში ჩატარდა ფორტეპიანოს მოსწავლეთა კლასიდან - კლასში გადასაყვანი მოსწავლეების გამოცდა. შეფასდა და დაიწერა შესაბამისი ქულები.

28 ივნისს ჩატარდა ქართული ხალხური ცეკვის პირველი ჯგუფის მოსწავლეთა ღია გაკვეთილი (ქორეოგრაფი ს.ბოჭორიშვილი, ასისტენტი ირაკლი ტურძილაძე). მოსწავლეებმა თავი გამოიჩინეს და წარმატებით გადავიდნენ მომდევნო კლასში.

30 ივნისს ხელოვნების სკოლის სააქტო დარბაზში გაიმართა არსებული ჯგუფების მოსწავლეთა შემაჯამებელი კონცერტი. ღონისძიებას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები, მთავრობის წარმომადგენლები და მშობლები. კონცერტის მონაწილე ბავშვები წარმატებულად ჩატარებული ღონისძიების გამო მაჟორიტარი დეპუტატის მიერ წახალისდნენ ერთ დღიანი ექსკურსიით, მათთვის სასურველ ლოკაციაზე.

2 ივლისს ქალაქ ონში ჩატარდა ქორეოგრაფიული კავშირის მიერ დაფუძნებული ფოლკლორული ფესტივალი „კავკასია - 2022“ ღონისძიებაში მონაწილეობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან მოწვეული წარმატებული ანსამბლები, მათ შორის ჩვენი ხელოვნების სკოლის ანსამბლები: „თი-ემ-სი“ და „რაშოვდა“პედაგოგები: სოფიო ბოჭორიშვილი, მარინა ციცქიშვილი.

14 ივლისს ხელოვნების სკოლის ინიციატივით ჩატარდა თიკო ტურძილაძილაძისადმი მიძღვნილი საქველმოქმედო საღამო. ღონისძიება

გაიმართა ამბროლაურის კულტურის ცენტრის საკონცერტო დარბაზში და შემოსული თანხა მთლიანად ჩაირიცხა ბენეფიციარის ანგარიშზე.

19 ივლისს ქორეოგრაფიული ანსამბლი“რაშოვდა“(ქორეოგრაფი მარინა ციცქიშვილი) მონაწილეობდა ბათუმის საერთაშორისო კონკურს-ფესტივალზე „ოქროს ბათუმი“, სადაც საუკეთესოდ წარმოდგენილი ქორეოგრაფიული ნომრისათვის დაჯილდოვდნენ გრანპრით.

21.ივლისს ქობულეთის საერტაშორისო კონკურს-ფესტივალზე „ნარინჯისფერი ქობულეთი“ ქორეოგრაფიული ანსამბლი „TMS“დაჯილდოვდა გრანპრით საუკეთესო ქორეოგრაფიული ნახაზისა და შესრულებისათვის. ცეკვა: 1.“რაჭული სუიტა“ 2. „ქალთა“.

მაღალი საკონცერტო ქულები დაიმსახურა ჟიურისგან საესტრადო მიმართულების გოგონათა ჯგუფმა და სოლო შემსრულებლებმა. ვოკალური ჯგუფი (პედაგოგი ხათუნა ნატმელაძე) დაჯილდოვდა პირველი ადგილით.

08 სექტემბერს ქალაქ ონში გაიმართა სახალხო დღესასწაული „ონელობა“, სადაც ორგანიზებულად და წარმატებით გამოვიდა მონაწილეთა შორის ანსამბლი „რაშოვდა“ აქვე გვინდა ავღნიშნოთ სკოლის სახელით, რომ ეს ანსაბლი ყოველთვის გამოირჩევა დისციპლინითა და საუკეთესო შედეგებით. მადლობას იმსახურებს პედაგოგი და გოგონები, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ანსამბლის წევრმა საჯარო სკოლა დაამთავრა და სწავლა უმაღლესში განაგრძო, ანსამბლი ყოველტვის მოწოდების სიმაღლეზეა.

ასევე მტკივნეულია თორმეტწლიანი ურთიერთობის შემდეგ ანსამბლი „TMS”გოგონებთან განშორება, რომლებმაც არაერთი წარმატება, სახელი და საუკეთესო შედეგები მოუტანა ჩვენს რაიონს, სკოლას, მრავალი ტელე-გადაღება, რაიონისა თუ რესპუბლიკის მასშტაბით. საკონკურსო ფესტივალები საზღვარგარეთ.

ახალი თაობა ჩაენაცვლა ანსამბლს გვჯერა ისინიც დაუღალავი შრომით ასევე წარმატებული იქნებიან.

სკოლის დაწყებითი საფეხურის სრული კურსი სხვადასხვა მიმართულებით დაამთავრა 8 მოსწავლემ.

ახალი სასწავლო წელი განახლდა 15 სექტემბრიდან, მაგრამ საკრავების განყოფილებაზე მშობლებთან შეთანხმებით ადრიანად დაიწყეს სწავლა და პროგრამებზე მუშაობა პედაგოგებმა. (ხალხური საკრავები, ესტრადა, ფორტეპიანო). გაიმართა პედაგოგთა საბჭო და შევჯერდით ახალ სასწავლო პროგრამებსა და რეპერტუარზე.

არდადეგების დროს შესაძლებლობა მოგვეცა ინსტრუმენტების: როიალი, რამდენიმე პიანინოს აწყობისა. შეკეთდა ხალხური ინსტრუმენტები. მერიის ძალისხმევით და მხაედაჭერით ზამთრის სეზონისათვის დროულად მოხერხდა გაზიფიცირება შენობაში, რაც უდავოდ მნიშვნელოვანია.

ახალი სასწავლო წელი შემოსული მოსწავლეებით დაკომპლექტდა სხვადასხვა მიმართულებით: საფორტეპიანო, ხალხური საკრავები, გიტარა, ხალხური სიმღერა, საესტრადო ვოკალი, ქართული ხალხური ცეკვები და ბავშვთა გაერთიანება „ბასტი-ბუბუ". თანამედროვე ცეკვები და მინი საბალეტო კომპოზიციები.

სულ მისაღებზე შემოსულია 70 მოსწავლე გოგო-ბიჭი.

3 ოქტომბერს ღია სივრცეში გაიმართა ფლეშ-მობი აქცია „ვარდისფერი ოქტომბერი" რომელიც ითვალისწინებდაონკო ავადმყოფების სოლიდარობას.

27 ნოემბერს სკოლის საკონცერტო ჯგუფებმა: ვაჟთა ფოლკ-ანსამბლი „მრავალძალი", ხალხურ საკრავთა ანსამბლი „საპოვნელა", საესტრადო ვოკალური „თი-ემ-სი", გოგონათა და ბიჭუნათა გაერთიანებული გუნდი, მონაწილობა მიიღეს საირმის საერთაშორისო ფესტივალში „საირმე-2022"საუკეთესო შედეგებით წარსდგა ჩვენი ანსამბლები მონაწილეთა შორის და საუკეთესო საშემსრულებლო დონე წარმოაჩინეს. მონაწილე ჯგუფები დაჯილდოვდნენ დიპლომებით და სამახსოვრო სუვენირებით.

29 ნოემბერს გაიმარტა ლიტერტურული ღონისძიება „მწიგნობარი", დასკვნითმუსიკალურ ნაწილში საუკეთესო საშემსრულებლო ნომრებით წარსდგნენ: საესტრადო ვოკალური ანსამბლი(პედ.ხათუნა ნატმელაძე), ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი(პედ.დავით სხირტლაძე).

ნოემბრის თვეში ყველა პედაგოგმა მოაწყო მშობელთა კრება, სადაც თავიანთი ჯგუფების და ინდივიდუალური მოსწავლეების შესახებ მნიშვნელოვან დეტალებზე ისაუბრეს მშობლებთან. საკითხები ეხებოდა: აკადემიური მოსწრების და სასკოლო დისციპლინების შენარჩუნებას, კონტიგენტის სიმყარეს და სწავლის გადასახადის დროულად გადახდას. პედაგოგების სურვილია ყოველი გაცდენილი გაკვეთილი, დროულად იქნეს ანაზღაურებული, რათა შევინარჩუნოთ მაღალი აკადემიური მაჩვენებლები.

დეკემბრის თვეში ჩატარდა ღია და შემაჯამებელი გაკვეთილები.

24 დეკემბერს ქ. თბილისში საკონცერტო დარბაზში „არტ-ჰოლი" ქორეოგრაფიული კავშირის მიერ მიწვეულ ანსამბლებს შორის ნომინაციებით

დაჯილდოვდა 4 ანსამბლი. ანსამბლი „თი-ემ-სი“ დაჯილდოვდა ნომინაციით: საუკეთესო ცეკვა „რაჭული“ (ხელმძღ. სოფიო ბოჭორიშვილი)

27 დეკემბერს ანსამბლი „რაშოვდა“ (ქორეოგრაფი მარინა ციცქიშვილი) ბათუმის საერთაშორისო კონკურს-ფესტივალში „ოქროს ფანტელი“ მონაწილეთა შორის დაჯილდოვდა გრანდიოზული პრიზით და როგორც გამარჯვებულ ჯგუფს საერთაშორისო ფესტივალზე ბელგიაში, მონაწილეობისათვის 2023 წლის საგასტროლო ვაუჩერი 25% ფასდაკლებით გადაეცა.

29 დეკემბერს გაიმართა სამთავრობო საახალწლო ღონისძიება ღია სივრცეში. დამდეგი ახალი წელი მიულოცეს ამბროლაურის საზოგადოებას ჩვენი სკოლის აღსაზრდელებმა: ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „მრავალძალი“, ხალხურ საკრავთა ორკესტრი „საპოვნელა“, გიტარის ჯგუფი „კვინტეტი“ საესტრადო ვოკალური ჯგუფები „თი-ემ-სი“ მოულოცავენ.

30 დეკემბერს სკოლის საკონცერტო დარბაზში გაიმართება თაქნამედროვე და საბალეტო ჯგუფის (დაწყებითი კლასი) მინი ჩვენება (ღია მეცადინეობა) მშობელთა დასწრებით.

საახალწლო აქსესუარებით საზეიმოდ მოირთო და მოიხატა სკოლის შენობა, საკლასო ოთახები. ყველა პირობა არის სკოლაში კომჰორტული სწავლებისათვის.

ღონისძიების შემდეგ ყველა მონაწილე მოსწავლე დასაჩუქრდებაქ ტკბილეულით.

ძვირფასო საკრებულოს და მერიის წარმომადგენლებო მინდა 2022 წლისწ გაწეული მუშაობის ანგარიშის საბოლოო რეზიუმე ასე წარმოგიდგინოთ: ეს წელი იმდენად მნიშვნელოვანი იყო ჩვენი სკოლის შემოქმედებითი წინსვლით და საქმიანობით, რომ შეიძლება დთორაძის ხელოვნების სკოლა დასახელდეს 2022 წლის საუკეთესო ა.ა. ი.პ.-ით.

მნიშვნელოვანია ჩვენი სკოლის დამსახურება შიდა სასკოლო, სარაიონო თუ გასვლით საერთაშორისო კონკურს- ფესტივალებზე. ეს მიღწევები ჩვენმა პედაგოგებმა და მოსწავლეთა ჯგუფმა დიდი შრომის შედეგად მოიპოვა, სასწავლო წლის განმავლობაში: ორი გრამპრი, პირველი ადგილები და წარმატებული გამოსვლები საერთაშორისო ნომინაციებში, თითოეული ჩვენთაგანი დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდებით ამბროლაურის წარმოჩინებას საჯარო გამოსვლის დროს. ძალზედ მნიშვნელოვანია პედაგოგთა და მოსწავლეთა წახალისება მათი მოტივაციის ამაღლების მხრივ, შესაძლებელია პედაგოგთა დაჯილდოება ჰონორარით და მოსწავლეთა დიპლომების გადაცემა მუნიციპალური სამსახურების მხრიდან. ასევე შესაძლებელია ამ მოსწავლეებთან მოვაწყოთ

საზეიმო შეხვედრა ხელმძღვანელობის მიერ, რაც კიდევ ერთხელ გაუსვავს ხაზს ჩვენი სკოლის საქმიანობის შეფასებას.

მადლობა მინდა გადაგიხადოთ ყველა იმ კეთილი საქმიანობის მხარდაჭერისთვის, რაც თქვენი დახმარებით ნაბიჯ-ნაბიჯ შედეგიანად განვავითარეთ.კიდევ ბევრი პროექტები შეგვიძლია განვახორციელოთ კულტურულ სფეროში რაიონის სასიკეთოდ.

წარმატებები და წინსვლა ხელოვნების სკოლის პედაგოგ-თანამშრომლებს, მოსწავლეებს, ჩვენს ხელმძღვანელობას, ვინც რაიონის საკეთილდღეოდ იღწვის.

ახალ სასწავლო წელს მისაღებ კონტიგენტთან ერთად ხელოვნების სკოლაში სწავლებას საშუალოდ 250-მდე მოსწავლე ეუფლება.

პატივისცემით,

ხელოვნების სკოლის დირექტორი: ლალი დვალი

ა(ა)იპ სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება ამბროლაურის დავით თორაძის სახელობის ხელოვნების სკოლის 2022 წლის შესრულება				
	დასახელება	გეგმით	საკასო	ფაქტიური
	ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები (სუბსიდია)	110900	110089	110089
	აქედან:			
	შრომის ანაზღაურება	90840	90460	90460
	შტატგარეშე	6000	6000	6000
	მივლინების ხარჯი	500	495	495
	საკანცელარიო	420	417	417
	სტამბა	250	250	250
	კავშირგაბმულობის ხარჯი	1860	1663	1663
	კომუნალური ხარჯი/ელ.ენერგია, წყლის, /	1450	1433	1433
	112–მომსახურეობა	80	62	62
	მუსიკალური ინსტრუმენტების აწყობის ხარჯი	500	500	500
	საღონისძიებო ხარჯი	2000	1995	1995
	წარმომადგენლობითი ხარჯი	300	300	300
	სანიტარული საგნების ხარჯი	500	500	500
	რემონტის ხარჯი	1100	1096	1096
	სამეურნეო ხარჯი	600	599	599
	ტრანსპორტის ხარჯი	2100	2100	2100
	ტრეინინგის ხარჯი	150	148	148
	რბილი ინვენტარისა და უნი ფორმების შეძენის ხარ	550	550	550
	საწვავი მასალის /ანტიფრიზის/ შეძენის ხარჯი/	1000	850	850
	არაფინანსური აქტივები/ გაზის მრიცხველის მიერთ/	700	671.07	671.07
	საკუთარი შემოსავალი	16100	11068	11068
	ფაქტიურად შემოვიდა			13000
	2021 წლის ნაშთი	660		
	აქედან:			
	შრომის ანაზღაურება	9000	8070	8070
	შტატგარეშე	500	500	500
	მივლინება	400	330	330
	კომუნალური /ეექტრო.ენერგია/	200	190.81	190.81
	ტრანსპორტი	1000	800	800
	საღონისძიებო ხარჯი	2000	1178	1178

ა(ა)ი.პ ამბროლაურის დავით თორაძის სახელობის სამუსიკო სკოლის
დირექტორი: ლალი დვალი
ბუღალტერი: ნატო გელოვნიშვილი